

404-გ-2-202102151233



N 404-გ

15/02/2021

შპს „თბილისის ჰესის“ დირექტორს
რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკის

ბატონო რადოსლავ,

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) განიხილა თქვენი 2021 წლის 6 იანვრის N 01/21 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვარზე 20.2 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მგფ-მ თავისი პოზიცია გამოხატა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის 2020 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი N3780-გ წერილით.

მგფ გამოთქვამს მზადყოფნას ამ თემაზე ითანამშრომლოს შპს „თბილისის ჰესთან“.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ბეჟა თორია

პროგრამის მენეჯერი ADB

დირექცია



3780-გ-2-202012301730



N 3780-გ

30/12/2020

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსს გიორგი გეჯაძეს

ბატონო გიორგი,

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 დეკემბრის N04/1795 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვარზე 100 000 მ³ მოცულობის წყალსაცავისა და 20.2 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ბუფერს გარეთ.

ამ ეტაპზე რთულია განისაზღვროს თუ რა გავლენას იქონიებს მდინარე მტკვარზე ჰესისა და წყალსაცავის მშენებლობა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის ქვემო ფონიჭალის დასახლების ტერიტორიაზე მდინარე მტკვარის გასწვრივ. არსებული პროექტი ითვალისწინებს მდინარის კალაპოტში 2 კმ-ის სიგრძის საყრდენი კედლების მოწყობას, რომელთა კონსტრუქციაც გაანგარიშებულია მდინარის არსებული ჰიდროლოგიური მონაცემების საფუძველზე.

შპს „თბილისი ჰესის“ მიერ შემოთავაზებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა სავარაუდოდ გამოიწვევს მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლას, რომლის უშუალო გავლენის შეფასება გზის ქვედა საყრდენ კედლებზე შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი ინფორმაციისა და გაანგარიშებების შემდეგ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში მდინარე მტკვარზე ჩატარებულია სხვადასხვა კვლევები, მათ შორის: „Ecological Sensitivity of Mtkvari River and Impact of Section 2 on River Biodiversity“, „Study of the influence caused to the River Mtkvari due to the construction activities under Tbilis- Rustavi Project“, „Hydrologic analysis report for the Mtkvari river“.

პატივისცემით,

ბექა თორია

პროგრამის მენეჯერი ADB

დირექცია

